

## მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის

2020 წლის ანგარიში

არქიტექტურულ სამშენებლო საქმიანობაზე და ინფრასტრუქტურულ პროექტებზე ზედამხედველობის განყოფილებაში 2020 წლის 20 დეკემბრამდე შემოსულია 811 სხვა და სხვა სახის კორესპონდენცია და განცხადება. აქედან, ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების და სხვა დანიშნულების ნაგებობების ექსპლუატაციაში მიღებაზე შემოსულია 158 განცხადება, 153 სამშენებლო ობიექტი მიღებულია ექსპლუატაციაში, 5 - შესწავლის პროცესშია.

აგრეთვე, არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაზე და ინფრასტრუქტურულ პროექტებზე ზედამხედველობის განყოფილების მიერ 2020 წლის განმავლობაში, სამშენებლო სამართალდარღვევის გამოსწორების შესახებ,

საქმისწარმოება დაწყებულია 101 საქმეზე.

სამშენებლო სამართალდარღვევის გამოსწორების საფუძველზე შეწყვეტილია 33 სამართალდარღვევის საქმე,

200 ლარით დაჯარიმებულია 24 სამშენებლო სამართალდამრღვევი პირი ( „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის „ 43-ე მუხლის პირველი პუნქტის გ ქვეპუნქტი და 45-ე მუხლის პირველი პუნქტის დ ქვეპუნქტი . „საქართველოს სივრცის დაგეგმარების არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის“ მუხლი 132-ე გ ქვეპუნქტი )

600 ლარით - 1 პირი, ( „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის 25-ე მუხლის, 26-ე მუხლის მეოთხე ნაწილი)

1000 ლარით - 18 სამართალდამრღვევი პირი, ( „საქართველოს სივრცის დაგეგმარების არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის“ მუხლი 130 პირველი პუნქტის გ ქვეპუნქტი )

2000 ლარით - 2 პირი, ( „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის 43 მუხლის პირველი პუნქტის ბ ქვეპუნქტი )

4000 ლარით - 1 პირი, („საქართველოს სივრცის დაგეგმარების არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის“ ბ ქვეპუნქტი )

ხოლო 8000 ლარით 1 სამართალდამრღვევი პირი. ( „საქართველოს სივრცის დაგეგმარების არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის“ მუხლი 131 მესამე პუნქტი )

გასაჩივრებულია და სასამართლოს მიერ საქმის არსებით განხილვამდე შეჩერებულია 3 სამართალდამრღვევის საქმე, საქმის დამატებითი შესწავლის მიზნით გადადებულია 5 სამართალდარღვევის საქმის განხილვა. მიმდინარეობს 9 საქმის განხილვა. მიმდინარე წელს

სულ საჯარიმო თანხა შეადგენს 23000 ლარს, რასაც დაემატება 6400 ლარი, დეკემბერში განხილული საქმეებიდან.

რაც შეეხება სამშენებლო სამუშაოების მიმდინარეობას, ისინი ძირითადად დაყოფილია რეგიონალური განვითარების სამინისტროს მიერ, ადგილობრივი ბიუჯეტით დაფინანსებულ და სოფლის პროგრამით განსახორციელებელ პროექტებად, რომელთა მიმდინარეობასაც, თავიანთი სამოქმედო უბნების მიხედვით, სისტემატიურად ამოწმებენ არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაზე და ინფრასტრუქტურულ პროექტებზე ზედამხედველობის განყოფილების თანამშრომლები და პერიოდულად ადგენენ შემოწმების აქტებს ან შესაბამის მოხსენებით ბარათებს, რაზედაც ხდება შესაბამისი რეაგირება, ხოლო სამშენებლო სამუშაოს დასრულების შემდგომ მომწოდებლები ხელშეკრულების საფუძველზე გვიდგენენ ექსპერტიზის დასკვნებს (50000 ლარზე ზემოთ გაფორმებული ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სამუშაოებზე შპს „მშენ-ექსპერტი“-დან, ხოლო სხვა დანარჩენ სამუშაოებზე, სამხარაულის ან აისოს სერტიფიკატის მქონე ექსპერტიზის ბიუროდან რომლის შემდგომაც ხდება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება კომისიურად და ობიექტის ჩაბარება.) ჩაბარებული ობიექტების ნაწილი გადაეცემა შესაბამის ა(ა)იპ-ებს ან მცხეთის მუნიციპალიტეტის მიერ შექმნილ ორგანიზაციებს შემდგომი ექსპლუატაციის მიზნით.

რფგ-ის დაფინანსებით მცხეთის მუნიციპალიტეტში მიმდინარეობს 35 ინფრასტრუქტურული პროექტი. აქედან დღეის მდგომარეობით დამთავრებულია 28 პროექტი, ხოლო 3 პროექტი დასრულების სტადიაშია, რომლებზეც ვადაგადაცილებისთვის ხორციელდება საჯარიმო სანქციები. 4 სამუშაო უნდა დასრულდეს 2021 წელს.

ადგილობრივი ბიუჯეტით დაფინანსებული 38 ხელშეკრულებიდან დასრულებულია - 10 ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაო, ხოლო 21 სამუშაო ამჟამად მიმდინარეობს, რომელთაგან 6 სამსენებლო ორგანიზაციაზე ხორციელდება საჯარო სანქციები, ხოლო 15 სამუშაო ვადებში დასრულდება. 4 სამუშაო უნდა დასრულდეს 2021 წელს.

გადაუდებელ სამუშაოებზე გაფორმებული 12 ხელშეკრულებიდან, დასრულებულია 10. მიმდინარეობს 1 სამუშაო და ერთი პროექტი დასრულდება 2021 წელს.

სოფლის პროგრამის ფარგლებში გაფორმებული 76 ხელშეკრულებიდან დასრულებულია 75 ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაო და 1 მიმდინარეობს, რაც დასრულდება ვადებში.

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა განყოფილებაში შემოდის სხვადასხვა სახის და შინაარსის წერილები, მათ შორისაა: მოქალაქეთა საჩივრები, ორგანიზაციებიდან შემოსული წერილები, მეზობლურ დავასთან, გარემოს დაბინძურების ფაქტებთან დაკავშირებული კორესპონდენციები, რომლებზე სწრაფი და ეფექტური რეაგირების მოხდენა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა განყოფილების აუცილებელი პირობა და მოთხოვნაა.

დღეის მდგომარეობით, მიმდინარე წლის 16 დეკემბრის ჩათვლით შემოსული კორესპონდენციები არის 335. მათ შორის აქედან შიდა მიმოწერა (მოხსენებითი ბარათები, განმარტებითი, სამსახურებრივი, განცხადებები) არის 58.

კორესპონდენციები მოქალაქეებისა თუ სხვადასხვა ორგანიზაციებიდან შემოსული წერილები - 148. ყველა კორესპონდენცია განხილულია და პასუხგაცემული.